



ევროკავშირი
საქართველოსთვის
ENPARD



სოფლის განვითარების პროგრამა

აკლიკანთის
სახელმძღვანელო

სოფლის განვითარების პროგრამა აპლიკანტის სახელმძღვანელო

სარჩევი

1. შესავალი (პროგრამის კომპონენტების აღწერის ჩათვლით);	3
2. ზოგადი აღწერა, მიზნები და ამოცანები;	3
3. საკვალიფიკაციო მოთხოვნები	3
3.1 პროგრამის გეოგრაფიული არეალი	3
3.2 პოტენციური ბენეფიციარის საკვალიფიკაციო კრიტერიუმები	3
3.3 აქტივობების/პროექტების დასაშვებობა	3
3.4 ხარჯების მიზნობრიობა	4
3.5 ბენეფიციარის პასუხისმგებლობა	4
4. ზოგადი პირობები	5
4.1 შესყიდვების პროცედურები, თაღლითობა და კორუფცია	5
4.2 RDA-ს და მთავარი აპლიკანტის უფლებები	6
4.3 კონფიდენციალურობა	6
4.4 ინტერესთა კონფლიქტი	6
5. აპლიკაციის და ბიზნეს მოდელის გაგზავნა	6
5.1 თანხმობა პროგრამის პირობებზე	6
5.2 აპლიკაციის ფორმა და მხარდამჭერი დოკუმენტები	7
5.3 აპლიკაციის წარდგენის ინსტრუქციები	8
6. აპლიკაციის შეფასება	9
6.1 ადმინისტრაციული შემოწმება	9
6.2 პირველი ეტაპი - შეფასება და კრიტერიუმები	9
6.2.1 განახლებადი და ენერგოეფექტური პროექტების შეფასება	9
6.2.2 სხვა მიმართულებით წარმოდგენილი პროექტების შეფასება	9

6.3	კომიტეტის მიერ შეფასება	11
6.3.1	განახლებადი და ენერგოეფექტური პროექტები	11
6.3.2	სხვა მიმართულებით წარმოდგენილი პროექტები	11
6.4	პროექტის შეთანხმება და ხელშეკრულების გაფორმება	11
7.	განხორციელება და მონიტორინგი	11
7.1	პროექტის განხორციელება და ანგარიშგება	11
7.2	თანხების გაცემა	12
7.2.1	ფინანსური და პროგრესის ანგარიშგება	12
7.2.2	მონიტორინგის ვიზიტები	12
7.2.3	დაფინანსების შეწყვეტა	12

1. შესავალი (პროგრამის კომპონენტების აღწერის ჩათვლით);

სოფლის განვითარებისთვის მნიშვნელოვანია სოფლად ახალი სამუშაო ადგილების შექმნისთვის შესაბამისი

პირობების უზრუნველყოფა, მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობა, ეკონომიკური დივერსიფიკაცია, სოფლის მეურნეობის განვითარებისკენ მიმართული მიზნობრივი ღონისძიებები და სექტორში ინვესტიციების მოზიდვა. ამ მიზნით ევროკავშირის (EU) „სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ევროპის სამეზობლო პროგრამის“ (ENPARD) დაფინანსებით და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მხარდაჭერით ააიპ „სოფლის განვითარების სააგენტო“ (RDA) ახორციელებს „სოფლის განვითარების პროგრამას“.

2. ზოგადი აღწერა, მიზნები და ამოცანები;

პროგრამა ითვალისწინებს სოფლად ეკონომიკური და გარემოსდაცვითი საქმიანობების ხელშეწყობას თანდაფინანსების გზით. **პროგრამის მიზნებია:**

(1) სოფლად არასასოფლო-სამეურნეო სამეწარმეო საქმიანობის განვითარების ხელშეწყობა, რაც თავის მხრივ ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარების სტიმულირებას, სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას, ეკონომიკურ დივერსიფიკაციას და ახალი სამუშაო ადგილების შექმნას.

(2) გარემოს დაცვისა და კლიმატის ცვლილებებთან დაკავშირებული გამოწვევების დაძლევა და ბუნებრივი რესურსების ეფექტიანად გამოყენება. **პროგრამის ამოცანებია:**

- სოფლად ეკონომიკისა და კონკურენტუნარიანობის ზრდის ხელშეწყობა;
- სოციალური პირობებისა და ცხოვრების ღონის გაუმჯობესების ხელშეწყობა;
- გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მდგრადი მართვის გაუმჯობესება.

3. საკვალიფიკაციო მოთხოვნები

3.1 პროგრამის გეოგრაფიული არეალი

პროგრამის განხორციელების გეოგრაფიული არეალია შემდეგი მუნიციპალიტეტები: **ქედა, ხულო, ბორჯომი, ახალქალაქი, თეთრიწყარო, ყაზბეგი, ლაგოდეხი და დედოფლისწყარო.**

3.2 პოტენციური ბენეფიციარის საკვალიფიკაციო კრიტერიუმები

- ☛ პროგრამაში მონაწილეობის უფლება აქვს საქართველოს მოქალაქე მეწარმე ფიზიკურ და იურიდიულ პირს;
- ☛ პროექტის განსახორციელებლად შერჩეული უძრავი ქონება აქვს საკუთრებაში ან/და მიღებული აქვს იჯარით/აღნაგობით, რომელიც რეგისტრირებულია სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში“ (იჯარის/აღნაგობის დარჩენილი პერიოდი თანადაფინანსების ხელშეკრულების გაფორმების დღისათვის უნდა შეადგენდეს არანაკლებ **3 წელს**);
- ☛ უძრავ ქონებას, არ უნდა ედოს ყადაღა ან/და იპოთეკა (დასაშვებია მხოლოდ საქართველოში რეგისტრირებული კომერციული ბანკების იპოთეკა);
- ☛ ბენეფიციარს არ უნდა გააჩნდეს დავალიანება სახელმწიფო ბიუჯეტის ან/და სსიპ „შემოსავლების სამსახურის“ მიმართ.
- ☛ იმ შემთხვევაში, თუ პოტენციური ბენეფიციარი არის სააგენტოს მიერ განხორციელებული რომელიმე პროექტის/პროგრამის ბენეფიციარი, მას განაცხადის წარდგენის მომენტისთვის არ უნდა ჰქონდეს პროგრამის/პროექტის პირობები დარღვეული.

3.3 აქტივობების/პროექტების დასაშვებობა

პროგრამა ითვალისწინებს იმ ბიზნეს საქმიანობების ფინანსურ მხარდაჭერას, რომლებიც ემსახურება შესაბამის მუნიციპალიტეტებში ეკონომიკური ღივრისიფიკაციის მიზნების მიღწევას.

პროგრამის ფარგლებში არ დაფინანსდება პროექტები, რომლებიც უკავშირდება:

1. სამხედრო, ბირთვულ, სპირტის და ალკოჰოლური სასმელების, თამბაქოს, და სახიფათო ნივთიერებების წარმოებას;
2. სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის პირველად და სურსათის წარმოებას (გამონაკლისის სახით დაიშვება ამ საქმიანობებთან დაკავშირებული ენერგოეფექტური და განახლებადი ენერგიების გამოყენების პროექტები);
3. სათამაშო ბიზნესს და აზარტულ თამაშებს;
4. საფინანსო მომსახურებას (მათ შორის სალომბარდო); 5. საქველმოქმედო საქმიანობას;
6. ვაჭრობას.

3.4 ხარჯების მიზნობრიობა

პროგრამა ითვალისწინებს მხოლოდ ძირითადი საშუალების შესყიდვა/შექმნასთან დაკავშირებული ხარჯების თანადაფინანსებას. მიზნობრივ ხარჯებად შეიძლება ჩაითვალოს ის ხარჯები, რომელიც ყველა ქვემოთ მითითებულ კრიტერიუმს აკმაყოფილებს:

- ხარჯი გაწეულია შეთანხმებული პროექტის ბიუჯეტის თანახმად;
- გაწეული და გადახდილია პროგრამის განხორციელების პერიოდში;
- მიზნობრივი და აუცილებელია პროექტის განსახორციელებლად; • შესაბამეა ადგილობრივ საგადასახადო კანონმდებლობას; პროგრამა **არ** ითვალისწინებს შემდეგი ხარჯების დაფინანსებას:
 - გართობისა და წარმომადგენლობითი ხარჯები;
 - ნებისმიერი მხარისათვის გადასახდელი პროცენტი ან ვალი;
 - კურსთაშორის სხვაობით გამოწვეული დანაკარგი, მოსაკრებელი, ჯარიმა, საურავი და პირგასამტეხლო;
 - ნებისმიერი ხარჯი, რომელიც უკავშირდება საშიშ ქიმიურ ნივთიერებებს, გადაშენების პირას მყოფი სახეობების განადგურებას, ყალბ და პირატულ საქონელს;
 - სასტუმროს შექმნასთან, მშენებლობასთან, რემონტთან და სხვა დაკავშირებული ხარჯები იმ შემთხვევაში, თუ სასტუმრო გათვლილია **22-ზე ნაკლებ** სტუმარზე და სტუმრების მისაღები ოთახების რაოდენობა **ნაკლებია 10ზე**;
- უძრავი ქონების (მათ შორის მიწის) შეძენა;
- ადამიანური რესურსის სამსახურეობრივ მივლინებებთან დაკავშირებული ხარჯები;

- საწარმოს წილების/აქციების შექმნა;
- სატრანსპორტო საშუალების შექმნა;
- სხვა ყველა ხარჯი, რომელიც შეზღუდულია სააგენტოსა და ბენეფიციარს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით.

შენიშვნა: დაუშვებელია პროექტის დაფინანსება, თუ პოტენციური ბენეფიციარის თანამონაწილეობის წყაროს წარმოადგენს სახელმწიფო/დონორი ორგანიზაციის პროგრამების/პროექტების ფარგლებში მიღებული თანადაფინანსება/გრანტი.

3.5 ბენეფიციარის პასუხისმგებლობა

ბენეფიციარი ვალდებულია:

1. უზრუნველყოს თანადაფინანსების ფარგლებში მიღებული თანხების ხარჯვის აღრიცხვა და ხარჯვის დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარმოება საქართველოს კანონმდებლობის და პროგრამის პირობების შესაბამისად. უზრუნველყოს სააგენტოს მიერ სავალდებულო/დოკუმენტური მონიტორინგის განხორციელებისთვის საჭირო პირობების შექმნა;
2. სააგენტოს და გაეროს განვითარების პროგრამას მონიტორინგის და კონტროლის მიზნით მიაწოდოს უტყუარი, დროული და სრული ინფორმაცია განხორციელებული პროექტის შესახებ (მათ შორის დასაქმებული პირების და საქმიანობის შედეგად მიღებული შემოსავლების და გაწეული ხარჯების შესახებ);
3. მისცეს შესაძლებლობა სააგენტოს ან გაეროს განვითარების პროგრამას მოამზადოს და გამოაქვეყნოს წერილობით ისტორიები, სურათები, ვიდეო მასალა დაფინანსებული პროექტის და ბენეფიციარის გამოცდილების შესახებ;
4. არ შეაფერხოს სააგენტოს და გაეროს განვითარების პროგრამის ან მათ მიერ განსაზღვრულ მესამე პირის მიერ მონიტორინგისა და შეფასების მიზნით ჩატარებული ღონისძიებები პროექტის დასრულებიდან **3 წლის** განმავლობაში. პროექტი დასრულებულად ჩაითვლება სააგენტოსა და ბენეფიციარს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულებისთანავე;
5. ბენეფიციარმა აღებული ვალდებულებების უზრუნველსაყოფად სააგენტოს სასარგებლოდ კომიტეტის მიერ განსაზღვრული ძირითადი საშუალებები უნდა დატვირთოს იპოთეკა/გირავნობით.

4. ზოგადი პირობები

სააგენტოს თანადაფინანსება ერთ ბენეფიციარზე განსაზღვრულია **არანაკლებ 20,000 და არაუმეტეს 340,000 ლარით**, თუმცა პოტენციური ბენეფიციარის მიერ წარმოდგენილ **თითოეულ პროექტზე არაუმეტეს 170,000 ლარით**, რომელიც არ აღემატება წარმოდგენილი პროექტის **ჯამური ღირებულების 80%-ს**.

კომერციული საქმიანობებისთვის გათვლილი განახლებადი ენერჯების და ენერგოეფექტური პროექტებისთვის, რომლებიც ითვალისწინებს განახლებადი ენერჯების გამოყენებით თერმულ იზოლაციას ან სითბო/სიცივის გენერირებას, დაფინანსდება შემდეგი პირობებით: სააგენტოს თანადაფინანსების **მინიმალური ოდენობა შეადგენს 1,500 ლარს, ხოლო მაქსიმალური ოდენობა შეადგენს 30,000 ლარს**, რომელიც არ აღემატება წარმოდგენილი პროექტის **ჯამური ღირებულების 80%-ს**.

ქართული ტრადიციული, ხელნაკეთი პროდუქტების წარმოებისა და მომსახურებისათვის სააგენტოს თანადაფინანსება ერთ ბენეფიციარზე განისაზღვრება შემდეგი პირობებით: მინიმალური თანადაფინანსების მოცულობა შეადგენს 1,500 ლარს, ხოლო მაქსიმალური თანადაფინანსების ოდენობა შეადგენს 30,000 ლარს, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს წარმოდგენილი პროექტის **ჯამური ღირებულების 80%-ს**. კომპონენტის ფარგლებში თანადაფინანსების თანხიდან არაუმეტეს 25% შეიძლება გამოიყოს სახელოსნოების სარემონტო სამუშაოებისთვის. აღნიშნულ შემთხვევაში, დაფინანსება მოიცავს მხოლოდ სამშენებლო მასალების შექმნას, ხოლო სარემონტო სამუშაოების ხელობის ნაწილი დაფინანსდება ბენეფიციარის თანამონაწილეობის თანხით.

თანადაფინანსების გაცემის წინაპირობას წარმოადგენს ბენეფიციარის მიერ წარმოდგენილი პროექტის დამატებითი წყაროს არსებობის დამადასტურებელი დოკუმენტაციის არსებობა.

ბენეფიციარის თანამონაწილეობის წყაროს წარმოდგენს მხოლოდ ფულადი სახსრები პროექტის ჯამური ღირებულების არანაკლებ 20%-ის ოდენობით.

4.1 შესყიდვების პროცედურები, თაღლითობა და კორუფცია

- ბენეფიციართა მიერ შესყიდვების განხორციელების ღონისძიებები უნდა ითვალისწინებდეს პროექტით განსაზღვრული შესყიდვების ეკონომიურობას, ეფექტურობას, და გამჭვირვალობას, საქონლის და მომსახურების შესყიდვების განხორციელების ვადებსა და ხარისხს. მომწოდებლების/ფირმების/ინდივიდების შერჩევა უნდა ეფუძნებოდეს ფასის, ხარისხის, სანდოობის და შესრულებული სამუშაოს მახასიათებლებს. შესასყიდი საქონლის და მომსახურების საბაზრო ფასი დადგენილი უნდა იყოს სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ბიუროს“ ან/და სსიპ „აკრედიტაციის ეროვნული ორგანოს - აკრედიტაციის ცენტრის“ მიერ აკრედიტირებული პირების ან/და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის“ მიერ წარმოებულ რეესტრში არსებული პირის საექსპერტო/აუდიტორული დასკვნით.
- პროექტის განხორციელებისათვის საჭირო თანხების დახარჯვა უნდა განხორციელდეს უნადლო ანგარიშსწორების გზით, რაც უნდა დასტურდებოდეს საგადახლო დავალებით. წარდგენილი პროექტის ფარგლებში ძირითადი საშუალებების შესაძენად/შესაქმნელად გაწეული ხარჯი უნდა დასტურდებოდეს გამოწერილი ზედნალებით ან/და ანგარიშგაქტურით ან/და საბაჟო დეკლარაციით ან/და მიღება-ჩაბარების აქტით (მომსახურების შემთხვევაში) ან/და ფორმა #2-ით (მშენებლობის შემთხვევაში).
- სააგენტოს მოთხოვნების შესაბამისად ბენეფიციარებმა პროგრამაში მონაწილეობის დაწყებიდან ვალდებულებების სრულად შესრულებამდე უნდა იხელმძღვანელოს ეთიკის უმაღლესი სტანდარტებით. ქვემოთ მოცემულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა: (1) “კორუფცია” ნიშნავს პირდაპირ ან არაპირდაპირ რაიმე ფასიანი ნივთის შეთავაზებას, მიცემას, აღებას ან მოთხოვნას, რაც ზეგავლენას მოახდენს მეორე მხარის ქმედებაზე; (2) “თაღლითობა” ნიშნავს განზრახ ან წინდაუხედაობით ფაქტების გამოტოვებას ან არასწორ ინტერპრეტაციას მხარის მიერ ფინანსური ან სხვა სარგებლის მიღების ან მოვალეობის თავიდან აცილების მცდელობის მიზნით; (3) “საიდუმლო გარიგება” ნიშნავს საიდუმლო გარიგებას ორ ან მეტ მხარეს შორის, გაუთვინობიერებლად ან გათვითცნობიერებით, რაც მიმართულია არამართლზომიერი მიზნის მისაღწევად, მესამე მხარის ქმედებაზე საზიანო ზეგავლენის მოხდენის ჩათვლით; (4) “ზეწოლა” ნიშნავს პირდაპირ ან არაპირდაპირ დაზიანებას ან დაზიანების მუქარას ადამიანების ან მათი ქონების მისამართით, რათა მოხდეს ზეგავლენა შესყიდვების პროცესში მათ მონაწილეობაზე, ან პროექტის განხორციელებაზე; (5) “ობსტრუქცია” ნიშნავს: (1) მტკიცებულებების ძალით განადგურება, ფალსიფიკაცია, შეცვლა ან დამალვა გამოძიებისათვის, ან ცრუ ჩვენების მიცემა რათა ხელი შეეშალოს გამოძიებას კორუფციასთან, თაღლითობასთან, შეთქმულებასთან, ძალადობასთან დაკავშირებით; და/ან გამოძიებისათვის საჭირო ინფორმაციის მქონე ნებისმიერი მხარის დაშინება ან მუქარა მის მიერ ამ ინფორმაციის გამჟღავნების აცილების მიზნით, ან (2) ქმედებები, რომელიც მნიშვნელოვნად უშლის ხელს ინსპექციისა და აუდიტის უფლების განხორციელებას.
- სააგენტო ვალდებულია რეაგირება მოახდინოს კორუფციისა და თაღლითობის ნებისმიერ პოტენციურ გამოვლინებაზე. განცხადების პირობების მიღებამდე, სასურველია რომ განმცხადებელმა ყურადღებით წაიკითხოს პროგრამის პირობები და ნებისმიერი შეკითხვის გაჩენის შემთხვევაში დაუკავშირდეს სააგენტოს.

4.2 RDA-ს და მთავარი აპლიკანტის უფლებები ბენეფიციარი უფლებამოსილია მოითხოვოს თანადაფინანსების ტრანშ(ებ)ის მიღება ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

4.3 კონფიდენციალურობა

- თანადაფინანსების ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ ერთ-ერთი მხარის (სააგენტო/გაეროს განვითარების პროგრამა და ბენეფიციარი) მიერ მეორე მხარის შესახებ მიღებული, დამუშავებული, შექმნილი ან/და გაგზავნილი ნებისმიერი ინფორმაცია/დოკუმენტაცია ან/და სხვა მნიშვნელოვანი ინფორმაცია/დოკუმენტაცია განეკუთვნება კონფიდენციალურ ინფორმაციას (შემდგომში „კონფიდენციალური ინფორმაცია“).

- მხარე ვალდებულია, როგორც ხელშეკრულების მოქმედების ვადაში, ასევე სახელშეკრულებო ურთიერთობის დასრულების შემდეგ, არ გაამჟღავნოს ან/და მესამე პირ(ებ)ს არ გადასცეს კონფიდენციალური ინფორმაცია მეორე მხარის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე.
- კონფიდენციალურ ინფორმაციას არ განეკუთვნება: (ა) სახელმწიფო/საჯარო უწყებებისთვის მიწოდებული ინფორმაცია ან ინფორმაცია რომელიც კანონმდებლობის საფუძველზე არის/გახდება საჯარო; (ბ) ინფორმაცია, რომლის გამჟღავნების თაობაზეც არსებობს კონფიდენციალური ინფორმაციის მესაკუთრე მხარის წინასწარი წერილობითი თანხმობა ან/და მხარეთა ხელშეკრულება; (გ) ინფორმაცია, რომლის გამჟღავნებაც განხორციელდება კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში, მათ შორის მესამე პირ(ებ)ის კანონიერი მოთხოვნის დაკმაყოფილების შედეგად.
- სააგენტოს და გაეროს განვითარების პროგრამას აქვს უფლება გამოიყენოს ბენეფიციარის შესახებ ინფორმაცია სარეკლამო მასალებში, მარკეტინგული ან სხვა საინფორმაციო მიზნებისთვის, საკუთარი შეხედულებისამებრ, ბენეფიციარის თანხმობის გარეშე, ასევე გამოაქვეყნოს ინფორმაცია სააგენტოს ან/და გაეროს განვითარების კუთვნილ ვებგვერდებზე.

4.4 ინტერესთა კონფლიქტი

პოტენციური ბენეფიციარი ვერ მიიღებს პროგრამით გათვალისწინებულ თანადაფინანსებას, თუ ბენეფიციარი ან მისი დამფუძნებელი/აქციონერი/მეპაიე ფლობს წილს/აქციას/პაის პროგრამის ფარგლებში მისთვის საქართველოში რეგისტრირებულ საქონლის/მომსახურების მიმწოდებელ/შემსრულებელ კომპანიაში.

5. აპლიკაციის და ბიზნეს მოდელის გაგზავნა 5.1 თანხმობა პროგრამის პირობებზე პოტენციური ბენეფიციარი განაცხადის წარდგენისას თანხმობას აცხადებს შემდეგზე:

- განაცხადში მითითებული ინფორმაცია სწორი და უტყუარია;
- გაცნობილია ვებ გვერდზე www.rda.gov.ge გამოქვეყნებულ - სოფლის განვითარების პროგრამის პირობებს, შესაბამისობის კრიტერიუმებს და თანადაფინანსების მიღების ეტაპებს;
- სააგენტო ან/და გაეროს განვითარების პროგრამა უფლებამოსილია ნებისმიერ დროს წინასწარი გაფრთხილების გარეშე გადაამოწმოს განაცხადში მითითებული ნებისმიერი ინფორმაცია, მესამე პირებთან და/ან სხვა არსებული წყაროების გამოყენებით;
- ბენეფიციარი გამოსატავს თანხმობას მასზედ, რომ ა(ა)იპ „სოფლის განვითარების სააგენტო“ კანონმდებლობით დადგენილი წესით პროგრამის ფარგლებში ბენეფიციარის მხრიდან საკრედიტო ვალდებულებების კეთილსინდისიერად მომსახურების დადგენის მიზნით, შეუზღუდავად, ნებისმიერ დროს მოიძიოს, მიიღოს და/ან დაამუშავოს ბენეფიციარის შესახებ სს „კრედიტიწფო საქართველო“ს ბაზაში არსებული ინფორმაცია. იმ შემთხვევაში, თუ დადგინდა განაცხადში მითითებული ინფორმაციის ან მისი ნაწილის უზუსტობა, იქნება ეს განმცხადებლის მიერ განზრახ/გაუფრთხილებლობით და/ან მესამე პირ(ებ)ის მიზეზით მცდარი ინფორმაციის მითითება, სააგენტო იტოვებს უფლებას უპირობოდ მიიღოს უარყოფითი გადაწყვეტილება;
- იმ შემთხვევაში, თუ განმცხადებლის მიერ განაცხადში მითითებული მცდარი ინფორმაციის მიზეზით სააგენტოს მიადგება მატერიალური და/ან არამატერიალური, პირდაპირი და/ან არაპირდაპირი ზიანი, განმცხადებელი იღებს სრულ პასუხისმგებლობას აღნიშნულ ზიანთან დაკავშირებით;
- განაცხადში მითითებულ მიწის ნაკვეთ(ებ)ს არ ალევს ყადაღა;
- განმცხადებელს არ გააჩნია დავალიანება სსიპ „შემოსავლების სამსახურის“ მიმართ; სააგენტო არ არის პასუხისმგებელი წინამდებარე განაცხადის შევსებასთან და/ან სააგენტოში განაცხადის წარდგენასთან დაკავშირებულ ნებისმიერ პირდაპირ/არაპირდაპირ ხარჯზე;
- წინამდებარე განაცხადი არ შეიძლება განმცხადებლის და/ან ნებისმიერი სხვა დაინტერესებული პირის მიერ განხილულ იქნას, როგორც სააგენტოს რაიმე სახის პირდაპირი/არაპირდაპირი დაპირება; სააგენტო არ არის პასუხისმგებელი წინამდებარე განაცხადთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილების პირდაპირ/არაპირდაპირ შედეგებზე.
- სააგენტო არ არის პასუხისმგებელი პროგრამაში მონაწილეობის მიზნით განაცხადისა და თანმდევი დოკუმენტაციის მომზადებისთვის გაწეულ დანახარჯებზე.

5.2 აპლიკაციის ფორმა და მხარდამჭერი დოკუმენტები წარმოსადგენი დოკუმენტაციის ნუსხა:

- ელექტრონული განაცხადი და ბიზნეს მოდელი; **შენიშვნა:** განახლებადი ენერჯების და ენერგოეფექტური პროექტებისთვის არ არის აუცილებელი ბიზნეს მოდელის წარმოდგენა.

- პოტენციური ბენეფიციარის/უფლებამოსილი პირის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის/პასპორტის ასლი;
- ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირების რეესტრიდან;
- უძრავი ქონების საკუთრებაში არსებობის ან იჯარის/აღსაფასებლის დამადასტურებელი დოკუმენტი (ამონაწერი საჯარო რეესტრიდან);
- სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს“ მიერ გაცემული იურიდიული პირის წესდების ასლი (იურიდიული პირის შემთხვევაში);
- ნოტარიულად დამოწმებული დამფუძნებლების კრების ოქმი (იურიდიული პირის შემთხვევაში) თანადაფინანსების ხელშეკრულების გაფორმებისა და ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების აღების თაობაზე;
- ცნობა სსიპ „შემოსავლების სამსახურიდან“ საგადასახადო დავალიანების არარსებობის შესახებ;
- თანამონაწილეობის თანხის დამადასტურებელი დოკუმენტი - ცნობა ბანკიდან შესაბამისი თანხის ანგარიშზე არსებობის შესახებ ან/და ცნობა ბანკიდან/მიკრო საფინანსო ორგანიზაციიდან კრედიტის დამტკიცების თაობაზე ან/და თანამონაწილეობის ალტერნატიული წყაროს დამადასტურებელი შესაბამისი დოკუმენტი (ძირითადი საშუალებებით (მხოლოდ უძრავი ქონება) თანამონაწილეობის შემთხვევაში: ღირებულება შეფასებული უნდა იყოს სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ბიუროს“ ან/და სსიპ „აკრედიტაციის ეროვნული ორგანოს - აკრედიტაციის ცენტრის“ მიერ აკრედიტირებული პირების მიერ);
- საბანკო რეკვიზიტები;
- ინვოისი ან/და ხელშეკრულება საქონლის/მომსახურების შესყიდვის შესახებ;
- სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ბიუროს ან/და სსიპ „აკრედიტაციის ეროვნული ორგანოს - აკრედიტაციის ცენტრის“ მიერ აკრედიტირებული პირების ან/და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის“ მიერ წარმოებულ რეესტრში არსებული პირის საექსპერტო/აუდიტორული დასკვნა წარმოდგენილი პროექტის საინვესტიციო ღირებულების საბაზრო ფასებთან შესაბამისობის შესახებ,
- სხვა დოკუმენტაცია (სააგენტოს მოთხოვნის შემთხვევაში);
- სამშენებლო სამუშაოების შემთხვევაში, დამატებით წარმოდგენილი უნდა იქნეს შემდეგი დოკუმენტაცია:
- მშენებლობის ნებართვა (საჭიროების შემთხვევაში); **შენიშვნა:** განაცხადის თანმდევი დოკუმენტაციის წარმოდგენის რიგითობას განსაზღვრავს სააგენტო, პროექტის განხორციელების სხვადასხვა ეტაპზე, რის შესახებაც განმცხადებელი იქნება ინფორმირებული.

5.3 აპლიკაციის წარდგენის ინსტრუქციები 5.3.1 ვებგვერდზე

რეგისტრაცია

განაცხადის შესავსებად პოტენციური ბენეფიციარი/უფლებამოსილი პირი უნდა დარეგისტრირდეს ვებგვერდზე (www.rda.gov.ge). რეგისტრაცია ხორციელდება აუცილებელი ველების შევსების შემდგომ. რეგისტრაციისას სავალდებულოდ შესავსები ველები:

- სახელი/გვარი;
- დაბადების თარიღი;
- პირადი ნომერი;
- მობ/ტელ ნომერი;
- დამატებითი ტელ. ნომერი;
- ელექტრონული ფოსტის მისამართი; • პაროლი

სარეგისტრაციო მონაცემების შევსების შემდგომ, პოტენციური ბენეფიციარი/უფლებამოსილი პირი ადასტურებს, რომ გაცნო და აცხადებს თანხმობას ვებ გვერდის მოხმარების წესებსა და პროგრამის პირობებზე, რითაც რეგისტრაციის პროცესი სრულდება. ვებგვერდზე ყოველი შემდგომი შესვლისას პოტენციური ბენეფიციარი, საკუთარი ელექტრონული ფოსტისა და პაროლის მითითების შემდგომ, შედის ვებგვერდის მართვის საკუთარ პანელში.

5.3. განაცხადის შევსება

- 1.1 შედის ვებგვერდის საკუთარი მართვის პანელში; 1.2 აჭერს ღილაკს „განაცხადის დამატება“;
- 1.3 ირჩევს - „ფიზიკური პირი“/ „იურიდიული პირი“);
- 1.4 ავსებს განაცხადის ელექტრონულ ფორმას
- 1.5 ავსებს განაცხადის ფორმაში ყველა აუცილებელ ველს;
- 1.6 განაცხადის ფორმის შევსების შემდეგ ბიზნეს პროექტების შემთხვევაში პოტენციური ბენეფიციარი ავსებს ბიზნეს მოდელის ელექტრონულ ფორმას
- 1.7 ღილაკზე დაჭერით ადასტურებს, რომ მის მიერ მიწოდებული ინფორმაცია არის უტყუარი და აცხადებს თანხმობას, რომ თუ პროგრამის განმახორციელებელი ნებისმიერი მხარისთვის გახდება ცნობილი ბენეფიციარის მიერ მიწოდებული ინფორმაციის სინამდვილესთან შეუსაბამობის შესახებ, ეს შესაძლოა გახდეს თანადაფინანსებაზე უარის თქმის მიზეზი ან/და მიღებული თანადაფინანსების უკან დაბრუნების საფუძველი;
- 1.8 აჭერს ღილაკს „განაცხადის/ბიზნეს მოდელის შენახვა“;
- 2. განაცხადის/ბიზნეს მოდელის შესავსებ გვერდზე განთავსებულია ღილაკი „განაცხადის გაგზავნა“, რომელზეც დაჭერის შემდგომ ვებგვერდზე ჩნდება შეტყობინება განაცხადის გაგზავნის თანხმობის შესახებ - „ვეთანხმები“.
- 3. პოტენციური ბენეფიციარის მხრიდან თანხმობის შემთხვევაში, შევსებული განაცხადი აღირიცხება სისტემაში და მიენიჭება სარეგისტრაციო ნომერი, სარეგისტრაციო ნომრის მინიჭების წესის შესაბამისად.
- 4. განაცხადის/ბიზნეს მოდელის გადაგზავნაზე თანხმობის შემდგომ, მისი კორექტირება დაუშვებელია.

6. აპლიკაციის შეფასება

6.1 ადმინისტრაციული შემოწმება

პოტენციური ბენეფიციარების მიერ გამოგზავნილი განაცხადები აღირიცხება სააგენტოს მონაცემთა ბაზაში. განაცხადი ავტომატურად გადაუნაწილდება სააგენტოს თანამშრომლებს განსახილველად. განაცხადების განხილვა ხორციელდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოცემულ დროს ხელმისაწვდომია განაცხადით მოთხოვნილი თანადაფინანსების შესაბამისი ბიუჯეტი. განახლებადი და ენერგოეფექტური პროექტების განაცხადების განხილვა განხორციელდება 6.2.1 ქვეთავში აღწერილი პირობების მიხედვით, ხოლო სხვა დანარჩენი ტიპის პროექტების განაცხადებთან ერთად წარმოდგენილი ბიზნეს მოდელის განხილვა განხორციელდება კანვას მოდელის მიხედვით (**იხ. დანართი კანვას მოდელი**), დეტალური ინფორმაცია შეფასების შესახებ აღწერილია 6.2.2 ქვეთავში.

6.2 პირველი ეტაპი - შეფასება და კრიტერიუმები

6.2.1 განახლებადი და ენერგოეფექტური პროექტების შეფასება

ინფორმაცია პროექტის შესახებ	შეფასება
რომელ საწარმოო ან მომსახურების პროცესში უნდა იქნას ინტეგრირებული RE/EE?	ინტეგრაცია ამ პროცესში განხორციელებადი და მიზანშეწონილია დიახ / არა
EE/RE ტექნოლოგიის რა ტიპი არის გათვალისწინებული (მაგ. დათბუნება, მზის ენერჯით წყლის გათბობა, მზის ენერჯით ჰაერის გათბობა, სითბური ტუმბო, ...)?	ტექნოლოგია - მიღებული (დაშვებული) ტექნოლოგიების დიაპაზონში* დიახ / არა
ენერჯის რომელ წყაროს ჩაანაცვლებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში)?	შეფასება არ არის აუცილებელი

დაზოგილი ენერჯის, ან გათბობის/გაგრილების გენერაციის მიახლოებითი გაანგარიშება, რისი მიღწევაც შესაძლებელია შემოთავაზებული EE/RE ღონისძიებებით ყოველწლიურად, კილოვატ-საათებში, მეგაჯოულებში, ან პროცენტებში, ამჟამინდელ ხარჯთან კავშირში (ამ შემთხვევაში თან დაურთეთ მიმდინარე ხარჯების მიახლოებითი ოდენობა)?	ენერჯის დაზოგვა არსებითი ოდენობის უნდა იყოს, სულ მცირე, 20%. გაწეული ხარჯი იძლევა თუ არა ადეკვატური დანაზოგის მიღების შესაძლებლობას
აქვს თუ არა განმცხადებელს უკვე მიღებული გრანტი ამ პროგრამის ფარგლებში და თუ დიახ, რა მიზნით?	ერთი და იმავე ტიპის ტექნოლოგიისთვის ორი გრანტის მიღება არ არის ნებადართული

* მიღებული (დაშვებული) ტექნოლოგიაა სითბური EE/RE გადაწყვეტა, მაგ. დათბუნება, მზის ენერჯიდან მიღებული გათბობა / გაგრილება, სითბური ტუმბო (გაგრილების ჩათვლით). ელექტროენერჯის გენერაცია (მაგ. მზის PV, წყლის ენერჯია, ქარის ენერჯია) არ არის დაშვებული, გარდა იმ შემთხვევისა, თუ წარმოებული ელექტროენერჯის ერთადერთ მიზანს წარმოადგენს სითბური (სითბო, სიგრილე) ენერჯის მიღება.

6.2. სხვა მიმართულებით წარმოდგენილი პროექტების შეფასება

განაცხადის და ბიზნეს მოდელის პირველადი შეფასებისას მოწმდება შემდეგი

ინფორმაცია: **ბიზნეს მოდელის შეფასება** 1. ინფორმაცია განაცხადის

შესახებ

	შეფასება
1.1 განსახორციელებელი პროექტის გავლენის არეალი (მუნიციპალიტეტი, სოფელი, დასახლება)	მნიშვნელოვანი გავლენა ერთ ან მეტ სამიზნე მუნიციპალიტეტზე;
1.2 ბიზნესის მიმართულება;	სწორად არის თუ არა დაფიქსირებული ბიზნესის მიმართულება
1.3 მოკლე სათაური / აღწერა (მაქსიმუმ 20-სიტყვიანი აღწერა)	პროექტის განხორციელება მიზანშეწონილია თუ არა.
1.4 მოთხოვნილი თანადაფინანსების ოდენობა	შეესაბამება პროგრამით დადგენილ პირობებს
1.5 განმცხადებლის თანამონაწილეობის ოდენობა	შეესაბამება პროგრამით დადგენილ პირობებს

2. ბიზნეს მოდელის ტექნიკური შეფასება

	ქულა	წონა	ჯამი
1. ბაზარი / სამიზნე ჯგუფი - ნათლად და გასაგებად არის აღწერილი - არის საკმარისი მოცულობის ბიზნესის მდგრადობისთვის - აქვს მსყიდველობითი უნარი შეიძინოს პროდუქტი / მომსახურება - აქვს განვითარების და დივერსიფიკაციის შესაძლებლობა		4	
2. მომხმარებლებისთვის შექმნილი ღირებულება - ნათლად და გასაგებად არის აღწერილი - აქვს/ექნება თვალსაჩინო ეფექტი/სარგებელი (ქმნის ღირებულებას) - აქვს/ექნება კონკურენტული უპირატესობა		4	

3. მიწოდების არხები -ნათლად და გასაგებად არის აღწერილი -შესაძლებელია / შესაბამისია		1	
4. მომხმარებელთან ურთიერთობა -ნათლად და გასაგებად არის აღწერილი -შესაძლებელია / შესაბამისია		1	
5. შემოსავლის ნაკადი -ნათლად და გასაგებად არის აღწერილი - რეალურია		2	
6. ძირითადი რესურსები -ნათლად და გასაგებად არის აღწერილი - რეალურია		1	
7. ძირითადი აქტივობები -ნათლად და გასაგებად არის აღწერილი - რეალურია		1	
8. საკვანძო პარტნიორები -ნათლად და გასაგებად არის აღწერილი -რეალურია და შესაძლებელია		1	
9. ხარჯების სტრუქტურა -ნათლად და გასაგებად არის აღწერილი - რეალურია		2	
10. საერთო შეფასება			
-ბიზნეს მოდელი გამართული და თანმიმდევრულია		2	
- შემოთავაზებული პროდუქტის / მომსახურების / ტექნოლოგიის მოდელის გამოყენება შესაძლებელია		1	
- ბიზნესის აშკარა რისკები მართვადია		1	
11. ბიზნეს საქმიანობის აპლიკაცია			
- სავარაუდოდ, ქმნის მუდმივ სამუშაო ადგილებს მისაღებ ფასად		2	
- სავარაუდოდ, ქმნის ქალთა მუდმივ სამუშაო ადგილებს მისაღებ ფასად		1	
- ქმნის სინერგიულ ეფექტს სხვა განცხადებებთან / პროექტებთან ერთად		1	

0 = არ პასუხობს მოთხოვნას ან სრულად არათემატურია, 1 = შესაბამისია, 2 = შესაძლებელია, 3 = კარგია, 4 = შესანიშნავი

0 ქულა ან 1 ქულა ნებისმიერ კატეგორიაში იწვევს განაცხადის უარყოფას. შემდგომ ეტაპზე დაშვების მინიმალური ქულა არის 70.

6.3 კომიტეტის მიერ შეფასება

6.3.1 განახლებადი და ენერგოეფექტური პროექტები

განახლებადი და ენერგოეფექტური პროექტების დაფინანსების შესახებ გადაწყვეტილება მიიღება კომიტეტის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის არსებითი (შინაარსობრივი) განხილვის საფუძველზე. 6.3.2 სხვა მიმართულებით წარმოდგენილი პროექტები

პოტენციური ბენეფიციარის მიერ წარდგენილ პროექტზე თანადაფინანსების დამტკიცების/უარყოფის შესახებ საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს პროგრამის ფარგლებში შექმნილი კომიტეტი. კომიტეტის წევრებს უფლება აქვთ მოითხოვონ ნებისმიერი ინფორმაციის დაზუსტება ან მოითხოვონ დამატებითი ინფორმაცია. შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება თანადაფინანსების შესახებ წინაპირობებით, რომელიც დამატებით ეცნობება ბენეფიციარს. კომიტეტის მიერ პროექტის შეფასებისთვის დამატებით გამოიყენება შემდეგი კრიტერიუმები:

1. პირდაპირი და არაპირდაპირი ეკონომიკური ეფექტის კრიტერიუმები:

- დადებითი ზეგავლენა მუნიციპალიტეტის ეკონომიკის განვითარებაზე;
- დასაქმებულთა საპროგნოზო რაოდენობა;
- დასაქმებულთა საპროგნოზო შემოსავლები;
- განხორციელებული კაპიტალური ინვესტიციის მოცულობა;
- ადგილობრივი ნედლეულის წილი თვითღირებულებაში (წარმოების შემთხვევაში);
- ადგილობრივი ნედლეულის წილი ჯამურად გადამუშავებულ ნედლეულში (წარმოების შემთხვევაში);
- დასაქმებულთა შორის ადგილობრივ მოსახლეობაზე გადახდილი ხელფასების წილი (მომსახურების/სერვისის შემთხვევაში);
- შეთავაზებული მომსახურების/პროდუქციის მოცულობა და ღირებულება; ღირებულებათა ჯაჭვში განსახორციელებელი პროექტის მნიშვნელობა.

6.4 პროექტის შეთანხმება და ხელშეკრულების გაფორმება თანადაფინანსების კომიტეტის მიერ პროექტის დამტკიცების შემდეგ, სააგენტო წერილობით აცნობებს განმცხადებელს გადაწყვეტილების და თანადაფინანსების ხელშეკრულების გასაფორმებლად წარმოსადგენი დოკუმენტაციის ჩამონათვალის და წარმოდგენის ვადების შესახებ.

პოტენციური ბენეფიციარის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის პროექტის პირობებით განსაზღვრულ კრიტერიუმებთან შესაბამისობის შემთხვევაში, სააგენტოს თანამშრომელი ბენეფიციართან შეთანხმებით ამზადებს სტრუქტურირების დოკუმენტს, სადაც დეტალურად არის გაწერილი სააგენტოს თანადაფინანსების ყოველი ტრანშის გახარჯვის მიზნობრიობა და თითოეული ტრანშის გაცემის წინაპირობები.

სტრუქტურირების დოკუმენტის მომზადების შემდეგ ბენეფიციართან გაფორმდება თანადაფინანსების შესახებ ხელშეკრულება

7. განხორციელება და მონიტორინგი

7.1 პროექტის განხორციელება და ანგარიშგება

პროექტის განხორციელების დოკუმენტურ მონიტორინგს განახორციელებს სააგენტო ბენეფიციარის თანადაფინანსების ხელშეკრულების პირობების შესაბამისად. ამასთან, ბენეფიციარი მიზნობრიობის შესრულების დასადასტურებლად ვალდებულია წარმოადგინოს სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ბიუროს ან/და სსიპ „აკრედიტაციის ეროვნული ორგანოს - აკრედიტაციის ცენტრის“ მიერ აკრედიტირებული პირების ან/და „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის“ მიერ წარმოებულ რეესტრში არსებული პირის საექსპერტო/აუდიტორული დასკვნა. ანგარიშის მიზანია სააგენტოს საშუალება მისცეს მონიტორინგი გაუწიოს პროექტის განხორციელებას საპროექტო წინადადებასთან და პროგრამის კომპონენტებთან შესაბამისობას.

7.2 თანხების გაცემა

თანადაფინანსების გაცემა განხორციელდება სააგენტოსა და ბენეფიციარს შორის შეთანხმებული სტრუქტურირების დოკუმენტის შესაბამისად, სადაც დეტალურად არის გაწერილი სააგენტოს თანადაფინანსების ყოველი ტრანშის გახარჯვის მიზნობრიობა და თითოეული ტრანშის გაცემის წინაპირობები.

7.2.1 ფინანსური და პროგრესის ანგარიშგება პროექტის დასრულებიდან **3 წლის განმავლობაში** ბენეფიციარი ვალდებულია ყოველწლიურად წარმოადგინოს აუდიტორული დასკვნა ფინანსური მდგომარეობის (რომელიც მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებებს) პროფილის შენარჩუნების, დასაქმებულთა რაოდენობის, გადახდილი ხელფასების, გაწეული მომსახურების ან/და წარმოებული პროდუქციის მოცულობა და შესყიდული ნედლეულის (ღირებულება და მოცულობა) შესახებ. 7.2.2 მონიტორინგის ვიზიტები სააგენტო და გაეროს განვითარების პროგრამა უფლებამოსილია ნებისმიერ დროს, წინასწარი შეტყობინების გარეშე, პროექტის განხორციელების ადგილზე არსებული მდგომარეობის და პროექტის პროგრესის შეფასების მიზნით განახორციელოს ვიზიტი პირადად ან დამოუკიდებელი სპეციალისტის/ექსპერტის/აუდიტორის მეშვეობით.

7.2.3 დაფინანსების შეწყვეტა სააგენტოს უფლება აქვს მთლიანად ან ნაწილობრივ შეაჩეროს ან/და შეწყვიტოს დაფინანსება, იმ შემთხვევაში თუ მოხდება პროგრამის ან/და ხელშეკრულების შესაბამისი პირობის დარღვევა.

თუ დაინტერესდით: პროგრამით გათვალისწინებული მიზნობრიობის შესაბამისი განაცხადის ფორმები და ბიზნეს მოდელის ფორმა და მომზადების ინსტრუქციები მოცემულია ელექტრონული სახით ვებგვერდზე (www.rda.gov.ge) და ხელმისაწვდომი გახდება რეგისტრაციის გავლის შემდგომ.